<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი
პროფესიული განათლების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი
ამ კანონის მიზანია ქვეყნის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განათლების ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების, პროფესიული განათლების სისტემის მართვისა და განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო
ეს კანონი განსაზღვრავს პროფესიული განათლების სახეებს, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების, პროფესიული განათლების სისტემის მართვისა და დაფინანსების პრინციპებს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების, საქმიანობის, მართვის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს.

მუხლი 3. პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები
1. პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებია:
ა) პროფესიული განათლების სისტემის მისადაგება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებთან, შრომის ბაზრის არსებული და სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილება;
ბ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
გ) საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და თავსებადობა.
2. პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს:
ა) პროფესიული განათლების სრულ და თანაბარ ხელმისაწვდომობას;
ბ) სწავლება-სწავლის სხვადასხვა მიდგომებისა და ფორმების შეთავაზებას, პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობასა და მორგებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
გ) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის შექმნას - კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს დანერგვას, არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნას, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის დანერგვას;
დ) პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებას;
ე) შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების გზით;
ვ) პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობას;
ზ) ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროში პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარებას;
თ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბებას;
ი) პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობას;
კ) საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას;
ლ) ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს ამ კანონის მიზნებისთვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) არაფორმალური განათლება - განათლება, რომელიც მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებისგან დამოუკიდებლად;

ბ) ასოცირებული ხარისხი - პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის საფუძველზე;

გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ინტერესებისა და შესაძლებლობების, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას და პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

დ) ინკლუზიური პროფესიული განათლება - ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომელიც ითვალისწინებს პირის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, მიუხედავად იმისა, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ სხვა მახასიათებელი გააჩნია მას;

ე) კვალიფიკაცია – საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგი, რომლის მიღწევაც დასტურდება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით;

ვ) კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო - დოკუმენტი, რომელიც კრიტერიუმების (აღმწერის) მეშვეობით აღწერს საქართველოში არსებული კვალიფიკაციების დონეებს თანამიმდევრული და ურთიერთადაკავშირებული გზით;

ზ) კომპეტენცია - ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობებისა და ავტონომიურობის ერთობლიობა;

თ) მოდული - სასწავლო ელემენტი, რომელიც აერთიანებს ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

ი) მობილობა - პროფესიულ სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს პროფესიული კვალიფიკაციის ან სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება;

კ) მსმენელი - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების ან/და გადამზადების პროგრამაზე ან/და ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე;

ლ) პროფესიული განათლება - განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პირისათვის იმ კომპეტენციის/კომპეტენციების გამომუშავებას, რომელსაც მოითხოვს კონკრეტული პროფესია ან/და შრომის ბაზარი და მიმართულია პირის პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისაკენ მთელი ცხოვრების მანძილზე;

მ) პროფესიის სტანდარტი - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოვალეობების ერთობლიობა, ასევე შესაძლებელია განისაზღვროს პროფესიასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

ნ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სწავლება-სწავლის და პროფესიული კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მინიჭების პირობებს;

ო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მოდული/მოდულები შესაბამისი კრედიტებით და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

პ) პროფესიული კვალიფიკაცია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგი, რომლის მიღწევაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით;

ჟ) პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - პროფესიული დიპლომი და სერტიფიკატები.
რ) პროფესიული დიპლომი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ს) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი, ასევე ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მოპოვებული აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ტ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, ასევე ქართულ ენაში მომზადების პროგრამები;
უ) პროფესიული სწავლების ცენტრი - დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული მომზადების ან/და გადამზადების პროგრამები;
ფ) პროფესიული განათლების მასწავლებელი - პირი, რომელიც წარმართავს სასწავლო პროცესს პროფესიული განათლების ან/და ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში;
ქ) პროფესიული სტუდენტი – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
ღ) პროფესიული კრედიტი - დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლებელია ჩაითვალოს ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;
ყ) პროფესიული მომზადება - პროფესიული განათლება, რომელიც ხორციელდება პროფესიული მომზადების პროგრამით და რომელიც ორიენტირებულია პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად საჭირო სწავლის შედეგების მიღწევაზე;
შ) პროფესიული გადამზადება - პროფესიული განათლება, რომელიც ხორციელდება პროფესიული გადამზადების პროგრამით და რომლის მიზანია ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შეძენა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობისათვის;
ჩ) რეგულირებადი პროფესია - საქმიანობა, რომლის განხორციელებისათვის სავალდებულოა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის ფლობა;
ც) საბაზო პროფესიული განათლება - პროფესიული განათლება, რომელიც პირს ამზადებს პროფესიული საქმიანობისათვის და რომლის ფარგლებში მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია შესაბამისი პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი დავალებების დამოუკიდებლად შესრულება და აღნიშნულ პროფესიულ საქმიანობაში წამოჭრილ პრობლემებზე ადეკვატურად რეაგირება;
ძ) საშუალო პროფესიული განათლება - პროფესიული განათლება, რომელიც პირს ამზადებს პროფესიული საქმიანობისათვის და რომლის ფარგლებში მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია შესაბამისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში სხვების საქმიანობაზე ზედამხედველობა, პასუხისმგებლობის აღება შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე, ასევე ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტა;
წ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორი - დოკუმენტი, რომელიც ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროებისა და კვალიფიკაციების კლასიფიცირებას;
ჭ) სწავლის შედეგი - პირის მიერ მიღწეული/მისაღწევი და შეფასებით დადასტურებული/დასადასტურებელი კომპეტენცია;
ხ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი - პირი, რომელსაც აქვს გამოხატული სირთულეები სწავლის პროცესში და საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების და ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას ან/და სასწავლო გარემოსა და პირობების

შეცვლას სწავლის შედეგებში ცვლილების შეტანის გარეშე ან/და დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;
χ) უმაღლესი პროფესიული განათლება - პროფესიული განათლება, რომელიც პირს ამზადებს პროფესიული საქმიანობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში დაკავშირებულია უმაღლესი განათლების პირველ საფეხურთან და რომლის ფარგლებში მინიჭებული პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია, შესაბამის პროფესიულ საქმიანობაში შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვათა სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას;
ჰ) ქართულ ენაში მომზადების პროგრამა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია ქართული ენის სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაძლევის მიზნებისათვის.

მუხლი 5. პროფესიული განათლების მიღების უფლება
1. ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ისარგებლოს პროფესიული განათლების მიღების უფლებით.
2. საქართველოში პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს:
ა) საქართველოს მოქალაქეს;
ბ) უცხოელს;
გ) საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს;
დ) საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ ნებისმიერ პირს.

მუხლი 6. ძირითადი გარანტიები
1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს და პროფესიული განათლების მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, დისკრიმინაციის გარეშე, ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების/პროფესიული სწავლების ცენტრის მიერ განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ/პროფესიული სწავლების ცენტრმა შეიძლება დაადგინოს სასწავლო დროს ან დაწესებულების ტერიტორიაზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და პროფესიული განათლების მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ/პროფესიული სწავლების ცენტრმა უნდა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დაწესებულების სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობა, ასევე აღნიშნულ პირთა სწავლებისას უზრუნველყოს სასწავლო პროცესის მოქნილობა და ინდივიდუალური მიდგომა.

მუხლი 7. სწავლების ენა
1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში/ პროფესიული სწავლების ცენტრებში სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში/პროფესიული სწავლების ცენტრებში, სადაც სწავლობენ სენსორული დარღვევის მქონე პროფესიული სტუდენტები/მსმენელები, გამოიყენება ჟესტური ენა.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ენის გარდა სხვა ენაზე სწავლება დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით/შეთანხმებით, ან სხვა

ენაზე სწავლების საკითხი შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

თავი II. პროფესიული განათლების სისტემა

მუხლი 8. პროფესიული განათლების სახეები და სწავლის შედეგების დადასტურება

1. პროფესიული განათლების სახეებია:
ა) საბაზო პროფესიული განათლება;
ბ) საშუალო პროფესიული განათლება;
გ) უმაღლესი პროფესიული განათლება;
დ) პროფესიული მომზადება;
ე) პროფესიული გადამზადება.
2. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება პროფესიული დიპლომით;
3. პროფესიული დიპლომი, რომელიც გაცემულია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შედეგად, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.
4. პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების სერტიფიკატით.
5. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, მოთხოვნის შემთხვევაში, დასტურდება სერტიფიკატით;
6. მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების სრულად ვერ დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს ცნობა მოდულის ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ.

მუხლი 9. პროფესიის სტანდარტი და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი

1. პროფესიის სტანდარტი შესაძლებელია იყოს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შექმნის საფუძველი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველი.
3. პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს შეიმუშავებს და ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს და ამტკიცებს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება.
2. საშუალო პროფესიული განათლების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით ინტეგრირდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.
3. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უკავშირდებოდეს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის - ბაკალავრიატის ერთ საგანმანათლებლო პროგრამას მაინც. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდეგ პირს ენიჭება ასოცირებული ხარისხი.
4. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული პროფესიული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარება ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები გაანგარიშებული უნდა იქნას პროფესიული კრედიტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
6. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 11. ერთობლივი და გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება ერთობლივად განახორციელონ:
ა) საქართველოს რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულებამ;
ბ) საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებამ და პროფესიული სწავლების ცენტრმა/ცენტრებმა;
გ) საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებამ და საქართველოს საწარმომ/საწარმოებმა ან უცხოური საწარმოს ფილიალმა/ფილიალებმა საქართველოში;
დ) საქართველოს და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა.
ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულმა სხვა უფლებამოსილმა ორგანიზაციებმა.
2. გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შესაძლოა განახორციელონ საქართველოს და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა.
3. ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი და პირობები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.
4. გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი და პირობები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

მუხლი 12. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა

1. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
2. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.
3. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის გავლა დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.

მუხლი 13. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები

1. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს შეიმუშავებს და ამტკიცებს მის განხორციელებაზე უფლებამოსილი დაწესებულება;
2. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება აქვს:
ა) საგანმანათლებლო დაწესებულებას;
ბ) პროფესიული სწავლების ცენტრს.
3. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები დგინდება ამ პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ.

მუხლი 14. არაფორმალური და ფორმალური განათლების აღიარება

1. არაფორმალური/ფორმალური განათლების აღიარება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების, პროფესიული კვალიფიკაციის მიღების, ან პროფესიული განათლების ფარგლებში სწავლის ცალკეული შედეგის/კომპეტენციის დადასტურების მიზნებისათვის;
2. არაფორმალური/ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესებით.

მუხლი 15. უცხოეთში მიღებული პროფესიული განათლების აღიარება

1. უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ პროფესიულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღწეული სწავლის შედეგებს აღიარებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტის საფუძველზე.

მუხლი 16. რეგულირებადი პროფესიები

1.პროფესიებს, რომელთა შესაბამისად საქმიანობისათვის სავალდებულოა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის ფლობა, სახელმწიფო გამოყოფს რეგულირებადი პროფესიების სახით.

2. რეგულირებადი პროფესიების ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

თავი III. პროფესიული განათლების სისტემის მართვა

მუხლი 17. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები

1. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები განსაზღვრავენ და ახორციელებენ სახელმწიფო პოლიტიკას პროფესიული განათლების სფეროში.

2. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები არიან:

ა) საქართველოს პარლამენტი;

ბ) საქართველოს მთავრობა;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

3. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობას ახორციელებენ სოციალური პარტნიორობის პრინციპის საფუძველზე, რაც გულისხმობს დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესებში.

მუხლი 18. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება პროფესიული განათლების სფეროში

საქართველოს პარლამენტი:

ა) განსაზღვრავს პროფესიული განათლების პოლიტიკისა და მართვის ძირითად მიმართულებებს;

ბ) პერიოდულად ისმენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ანგარიშს პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, ფინანსური საქმიანობისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების შესახებ.

მუხლი 19. საქართველოს მთავრობა

პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს მთავრობა:

ა) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას პროფესიული განათლების სფეროში;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიას;

გ) ადგენს რეგულირებადი პროფესიების ნუსხას;

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ადგენს პროფესიული განათლების დაფინანსების პირობებსა და წესს;

ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ქმნის პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის პრინციპებზე დაფუძნებულ სათათბირო ორგანოს და ამტკიცებს მის დებულებას;
ვ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სტუდენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობით პროფესიული სტუდენტური ბარათის გამოყენების წესს;
ზ) განსაზღვრავს პროფესიის სტანდარტის/სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების წესს;
თ) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების საკითხის მის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმების წესსა და პირობებს.
ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 20. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:
ა) ახორციელებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას;
ბ) პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის მიზნით აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და ამტკიცებს მათ წესდებებს, ახორციელებს მათ სახელმწიფო კონტროლს, უფლებამოსილია მოახდინოს მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
გ) პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის მიზნით აფუძნებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს;
დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს:
დ.ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული სწავლების ცენტრების ავტორიზაციის დებულებებს;
დ.ბ) არაფორმალური/ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესებს.
დ.გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული კრედიტებით გაანგარიშების წესს.
დ.დ) უცხო ქვეყანაში მიღებული პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და წესს;
დ.ე) კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს;
დ.ვ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორს;
დ.ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესსა და პირობებს;
ე) ადგენს ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.
ვ) ადგენს გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.
ზ) ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს;
თ) ამტკიცებს პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მათი დანართის ფორმებს;
ი) ამტკიცებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესს;
კ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესს;
ლ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს:
ლ.ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;
ლ.ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის ეთიკის კოდექსს;

ლ.გ) სახელმწიფოს მიერ, ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებისა და დანამატის გაცემის წესსა და პირობებს;
ლ.დ) ამტკიცებს პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წესსა და პირობებს;
მ) შეიმუშავებს პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიკაციის მექანიზმებს, ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების, რეგულირებისა და მონიტორინგის, აგრეთვე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესსა და პირობებს;
ნ) ადგენს სახელმწიფოს მიერ, ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების/თვითღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების განკარგვის წესსა და პირობებს;
ო) შეიმუშავებს და ამტკიცებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროში პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას;
პ) ამტკიცებს საშუალო პროფესიული განათლების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირების წესს.
ჟ) ადგენს ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების წესს.
რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი IV. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

მუხლი 21. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება, სტატუსის მოპოვება და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუძნდება და საქმიანობს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.
2. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები უფლებამოსილნი არიან პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით დააფუძნონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
3. ამ კანონით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების, გადამზადების ან ქართულ ენაში მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება აქვთ შესაბამისი ავტორიზაციის მქონე იურიდიულ პირებს.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნისა და სახელწოდების შეცვლის გარეშე, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნის გზით განახორციელოს მხოლოდ საბაზო და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნისა და სახელწოდების შეცვლის გარეშე, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნის გზით განახორციელოს ნებისმიერი სახის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
5. ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებას მოიპოვებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით.
6. კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით არსებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებზე, გარდა სახელმწიფოს მონაწილეობით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, მათი შინაარსის გათვალისწინებით, არ ვრცელდება ამ კანონის V და IX თავები.

მუხლი 22. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას ახორციელებს/ახორციელებენ მისი დამფუძნებელი/დამფუძნებლები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა

მუხლი 23. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები და ვალდებულებები
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია:
ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების პროცესში ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან ან/და მათ გაერთიანებებთან;
ბ) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მონაწილეობა;
გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა;
დ) უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობა;
ე) უზრუნველყოს ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
ვ) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობა;
ზ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიანი შეფასება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასა და შესაბამის მოდულებში განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და შეფასების სისტემის შესაბამისად, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების საჭიროებების გათვალისწინებით;
თ) სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გაითვალისწინოს მოზარდთა და ზრდასრულთა განათლების თავისებურებები;
ი) შექმნას პირობები ინკლუზიური პროფესიული განათლებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის შეიმუშავოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია;
კ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 24. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებს, მათი არჩევის/დანიშვნის წესს, მათთვის წასაყენებელ მოთხოვნებს, მათ უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წესდება.

თავი VI. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია, პროფესიული სწავლების ცენტრის ავტორიზაცია

მუხლი 25. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შედეგად იურიდიული პირი იძენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, შესაბამისი პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას და უფლებამოსილია გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები: პროფესიული დიპლომი ან სერტიფიკატი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის წესი, ავტორიზაციის სტანდარტები და მათი დაკმაყოფილების პირობები, ასევე ავტორიზაციის საფასური განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, დამატებითი ავტორიზაციის გარეშე, განახორციელოს პროფესიული მომზადების ან/და გადამზადების პროგრამები იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რაზეც მას მიღებული აქვს ავტორიზაცია.
5. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის, პროფესიული მომზადების ან/და გადამზადების პროგრამების მსმენელები დაწესებულებას არ ჩაეთვლება პროფესიულ სტუდენთა საერთო რაოდენობაში.

მუხლი 26. პროფესიული სწავლების ცენტრის ავტორიზაცია
1. ავტორიზაციის შედეგად იურიდიული პირი იძენს პროფესიული სწავლების ცენტრის სტატუსს. ის უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული მომზადების ან/და გადამზადების პროგრამები და გასცეს სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი-სერტიფიკატი.
2. პროფესიული სწავლების ცენტრის ავტორიზაციის წესი, ავტორიზაციის სტანდარტები, მათი დაკმაყოფილების პირობები და ავტორიზაციის საფასური განისაზღვრება პროფესიული სწავლების ცენტრის ავტორიზაციის დებულებით.

თავი VII. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი

მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები
1. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს:
ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;
ბ) საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების/პროფესიული სწავლების ცენტრის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა;
გ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს პროფესიულ და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
დ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით;
ვ) აირჩიოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა;
ზ) განახორციელოს ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება/პროფესიული სწავლების ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ცოდნის სამართლიანი შეფასება, რისთვისაც შეიმუშავებს სათანადო პროცედურებს.
3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო

დაწესებულების/პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით ან/და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით.
4. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების/პროფესიული სწავლების ცენტრის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 28. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ვალდებულებები
პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია პროფესიული საგანმანათლებლო/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი/მოდული/სასწავლო კურსი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, დაიცვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების/პროფესიული სწავლების ცენტრის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა წესები.

თავი VIII. პროფესიული განათლების დაფინანსება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა

მუხლი 29. პროფესიული განათლების დაფინანსება
1. პროფესიული განათლების დაფინანსებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი სამინისტროები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების შემოსავალი და ხარჯები აისახება მის ბიუჯეტში. აღნიშნულ დაწესებულებას აქვს ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში და ბეჭედი.
3. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს, არასაბიუჯეტო სახსრების მოძრაობის (არასაბიუჯეტო ფულადი სახსრების მიღება, განთავსება, ანგარიშსწორების განხორციელება) უზრუნველსაყოფად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, ჰქონდეს ანგარიში კომერციულ ბანკში.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები შესაძლოა დაფინანსდნენ კანონით დაშვებული სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო პროგრამული წყაროებიდან, დონორების ან/და სპონსორების მიერ, ასევე კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოები უფლებამოსილი არიან, დააფინანსონ პროფესიული განათლება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.
6. პროფესიული განათლება შეიძლება დააფინანსონ ფიზიკურმა პირებმა და კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა.

მუხლი 30. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა
1. სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევა, ასევე მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს მისი სასწავლო პროცესის განვითარების, ეკონომიკური მდგრადობის, სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების მოპოვების და წარმოებული პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნებს, რაც არ უნდა იწვევდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებითად სამეწარმეო საქმიანობაზე გადასვლას.
3. სასწავლო პროცესში შექმნილი საქონლის/მომსახურების რეალიზებიდან და დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობიდან მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას.
4. სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების/თვითღირებულების განსაზღვრის წესს, აგრეთვე აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების განკარგვის წესსა და პირობებს ადგენს სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების დამფუძნებელი.

მუხლი 31. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესენულების მიერ სხვა იურიდიული პირის შექმნა
1. წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დააფუძნოს სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელშიც შესაბამისი დაწესებულება უნდა ფლობდეს არანაკლებ 50%-იან წილს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება ხდება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმებით. შეთანხმების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

თავი IX.სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო კონტროლი, ქონება, ანგარიშგება და ბუღალტრული აღრიცხვა

მუხლი 32. სახელმწიფო კონტროლი
1. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შესაბამისი დამფუძნებელი ორგანო.
2. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების (საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებლი ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულება), მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებლ ორგანოს წარუდგენს გასული წლის საქმიანობის ანგარიშს საქართველოს კანონმდებლობის შესრულებისა და სასწავლო პროცესის შესახებ. ანგარიშის წარდგენის ფორმებსა და ვადებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ადგენს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებული ორგანო.
4. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა ან ადგილზე შეისწავლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებლი ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებას.

მუხლი 33. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება

1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებისას სახელმწიფო მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადასცემს შესაბამის ქონებას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობანი და მისი შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას განკარგავს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებლი ორგანოს თანხმობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობის საფუძველზე უფლებამოსილია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით შეძენილი ქონება მის მიერ დაფუძნებულ სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უსასყიდლოდ ან სასყიდლით გადასცეს სარგებლობის უფლებით. სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება, რომლის გადაცემაც მოხდა ამ მუხლით დადგენილი წესით, ლიკვიდაციის დასრულების შემდეგ სრულად უბრუნდება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას.

5. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად უბრუნდება სახელმწიფოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 34. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშგება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშგების წესი განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 35. გარდამავალი დებულებანი

1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (თბილისი, 2007 წლის 28 მარტი. №4528_Iს) შესაბამისად მიღებული პროფესიული განათლების:

ა) პირველი და მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციების დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია პროფესიული მომზადების სერტიფიკატთან.

ბ) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი გათანაბრებულია საბაზო პროფესიული განათლების პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომთან;

გ) მეოთხე და მეხუთე საფეხურების პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ იყო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, გათანაბრებულია საბაზო პროფესიული განათლების პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომთან;

დ) მეოთხე და მეხუთე საფეხურების პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იყო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, გათანაბრებულია საშუალო პროფესიული განათლების პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომთან.

2. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (თბილისი, 2007 წლის 28 მარტი. №4528_Iს) შესაბამისად ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაითვალონ ავტორიზებულ კოლეჯებად ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.
3. 2019 წლიდან დაუშვებელია პროფესიულ სტუდენტთა მიღება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (თბილისი, 2007 წლის 28 მარტი. №4528_Iს) შესაბამისად განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
4. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (თბილისი, 2007 წლის 28 მარტი. №4528_Iს) შესაბამისად განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება კოლეჯებს მიეცეთ ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე.

მუხლი 36. კანონის ამოქმედება და ძალადაკარგული ნორმატიული აქტი
1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 23.04.2007, მუხ. 117).

განმარტებითი ბარათი
,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

2013 წელს, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერითა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავდა საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის (2013-2020 წლებისათვის) სტრატეგია, რომლის დამტკიცებითაც (საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის N300 ბრძანება) დაიწყო პროფესიული განათლების სფეროს განვითარების ახალი ეტაპი. სტრატეგიაში ასახულია საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები და ჩამოყალიბებულია მიზნები, რომელთა განხორციელებამ, კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური რესურსების მდგრად განვითარებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების, თვითრეალიზების შესაძლებლობას) და შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას.

პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში ახალი სახელმწიფო პოლიტიკისა და რეფორმის სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭიროა მყარი სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რაც პირველ რიგში, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შემუშავებით არის შესაძლებელი. ახალი კანონის შემუშავება (და არა არსებულ კანონში ცვლილებების განხორციელება) ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ შემოთავაზებული ცვლილებები ვრცელდება მოქმედი კანონის მნიშვნელოვან ნაწილზე და ამასთანავე, გვთავაზობს ახალ მიდგომებსა და პრინციპებს მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში. ამდენად, კანონპროექტში წარმოდგენილია არსებული ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული ხედვა და მოიცავს სფეროსთან დაკავშირებულ ყველა საკვანძო საკითხს, ამასთანავე, გამოკვეთს პრობლემებსა და გამოწვევებს, განსაზღვრავს რეკომენდაციებს ამ პრობლემათა გადაჭრისათვის საჭირო სამართლებრივი ნორმების ჩამოსაყალიბებლად.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია პროფესიული განათლების მიღების უფლებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად: პროფესიული განათლების პოლიტიკის განვითარებისა და მართვის პროცესებში სოციალური პარტნიორობისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, მათ შორის, საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის განვითარება; მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა; ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა; პროფესიულ სტუდენტთა დასაქმებისა და თვითდასაქმების პოლიტიკის სტიმულირება; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; ზრდასრულთა პროფესიული განათლების ხელშეწყობა; პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; პროფესიული განათლების სფეროს დაფინანსების წყაროების გაფართოება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ საკუთარი შემოსავლების/ფონდების გენერირების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების სფეროს დაფინანსების მოდელის სრულყოფა; არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმის დანერგვა; კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიული განათლების მიღების პარალელურად ზოგადი განათლების დაუფლების შესაძლებლობის შექმნა; პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, კანონის მიზანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს. რეალურად, კანონშივე მოცემული პროფესიული განათლების მიზნები, დასაქმების ხელშეწყობის ასპექტებთან ერთად, არასრულად, მაგრამ მაინც მოიცავს სხვა განზომილებებსაც (სოციალურ, დემოკრატიის განვითარების და სხვ). ამასთან, კანონის თანახმად, პროფესიული განათლების მიზნებია ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით; ინდივიდის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა; ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების ხელშეწყობა; პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, კანონის მიზნის არსებული რედაქცია ფრაგმენტულია და ხაზს უსვამს სფეროს მხოლოდ ეკონომიკურ მნიშვნელობას, რითაც გადაფარულია სხვა მიზნები, ხოლო მეორე მხრივ, კანონში მოცემული პროფესიული განათლების მიზნები არასრულად ასახავს სფეროს რეალურ შესაძლებლობებსა პერსპექტივებს. პროფესიული განათლების ფუნქცია, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნების საფუძველზე კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის განვითარებასთან არის დაკავშირებული, უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ყველა დემოკრატიული და განვითარებული ქვეყნის ხელისუფლების განცხადებულ პოლიტიკაში. თუმცა ამ მიზნით სფეროს სხვა მიზნების გადაფარვა პროფესიული განათლებას ვიწრო საზღვრებში კეტავს და არ აღიარებს მის ფართო შესაძლებლობებს.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კანონპროექტით შემოთავაზებულია კანონის მიზნის ზოგადი ფომულირება, რაც უნდა გულისხმობდეს პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობას. ამავე დროს, კანონში მკაფიოდ უნდა აისახოს პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები. აღნიშნული მიზნები სრულად უნდა პასუხობდეს სფეროს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან შესაბამისობაში მოყვანისა ადა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს. შესაბამისად, კანონპროექტით წარმოდგენილი პროფესიული განათლების მიზნები მოიცავს პროფესიული განათლების სისტემის მისადაგებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებთან, შრომის ბაზრის არსებული და სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას; საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებასა და თავსებადობას. კანონპროექტი განსაზღვრავს აღნიშნული პრიორიტეტების განსახორციელებლად სახელმწიფოს კონკრეტულ ვალდებულებებს, რომლებიც უკავშირდება პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობასა და მორგებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, პროფესიული განათლების სრულ და თანაბარ ხელმისაწვდომობას; სწავლება-სწავლის სხვადასხვა მიდგომებისა და ფორმების შეთავაზებას, პროფესიული განათლების სისტემის მოქნილობასა და მორგებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის შექმნას - კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს დანერგვას, არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების შექმნას, კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის დანერგვას; პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებას; შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების გზით; პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის განვითარების ხელშეწყობას; ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროში პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის

განვითარებას; პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბებას; პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობას; საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დანერგვას; ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მე-7 მუხლის თანახმად, ,,პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად. პროფესიული განათლების მიღების უფლების რეალიზების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობით გამართოს კონსულტაციები პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ. აღნიშნული მუხლით უფლებაზე მეტად წარმოდგენილია შეზღუდვები და წინაპირობები, რაც დამაბრკოლებელ გარემოებას ქმნის პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საბაზო განათლება საქართველოში სავალდებულოა და ერთი შეხედვით, პროფესიული განათლების მისაღებად საბაზო განათლების ფლობა მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კანონის ამ ჩანაწერით დავიწროვებულია იმ პირთა წრე, რომლებსაც უფლება ეძლევათ მიიღონ პროფესიული განათლება. ასევე, დავიწროვებულია თავად პროფესიული განათლების ცნებაც. კანონის თანახმად, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით, პროფესიული განათლება იცნობს მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით სრულდება და არ აღიარებს პროფესიული მომზადების, გადამზადების, ცალკეული კომპეტენციების გამომუშავებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების (სხვადასხვა სასერტიფიკატო კურსები) არსებობას. რეალურად, კანონი არ იძლევა იმ მრავალფეროვანი შესაძლებლობების განხორციელების საშუალებას, რისი შეთავაზებაც პროფესიული განათლების სფეროს შეუძლია.

კანონის პროექტი ცვლის მიდგომას პროფესიული განათლების მიმართ და გზას უხსნის იმ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, რომელთა მიზანია პროფესიული სერტიფიკატის (ცალკეული მოდულის/მოდულების გავლის შემთხვევაში) გაცემა და რომელთა დასაუფლებლად, შესაძლებელია, სავალდებულო არ იყოს ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევა. ამ შესაძლებლობის შექმნით პროფესიული განათლება გზას გაუხსნის ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე იმ პირებს, რომლებმაც ვერ შეძლეს საბაზო განათლების ატესტატის მიღება, მაგრამ შესწევთ უნარი, გამოიმუშავონ ცალკეული პროფესიული კომპეტენციები. მოქნილი, დიფერენცირებული, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (მაგალითად, უკვე დასაქმებული პირებისათვის, რომლებსაც სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, სურვილი აქვთ მიიღონ ცალკეული მოდულით გათვალისწინებული ცოდნა და კომპეტენციები).

კანონპროექტი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ყველას აქვს უფლება მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული და პიროვნული განვითარების, დასაქმების, თვითდასაქმების, კარიერის განვითარებისა და თვითრეალიზაციისთვის. დეკლარირება იმისა, რომ ყველას აქვს პროფესიული განათლების მიღების უფლება, საფუძველს უქმნის ამ უფლების რეალიზების, სისტემის მოქნილობისა და შესაძლებლობათა გაფართოებისათვის მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა არ გამორიცხავს სპეციფიკური საკითხების გათვალისწინებას (სრული

პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად საბაზო განათლების ფლობის აუცილებლობას, ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ასაკობრივ შეზღუდვას, სრული ზოგადი განათლების ატესტატის ფლობის ვალდებულებას და ა.შ) და აღიარებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობს პროფესიული განათლების ორი სახე: ფორმალური პროფესიული განათლება და არაფორმალური პროფესიული განათლება. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით. კანონის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტმა გზა გაუხსნას ფორმალური განათლების ფართო შესაძლებლობების განხორციელებას და არ შეზღუდოს მხოლოდ კვალიფიკაციის მისანიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით.

ფორმალური პროფესიული განათლება ხორციელდება ორგანიზებულ და სტრუქტურირებულ გარემოში და წარმოადგენს გამიზნულ/განსაზღვრულ სასწავლო პროცესს, რომელიც, როგორც წესი, სრულდება მიღებული ცოდნის დადასტურებით, სერტიფიცირებით (Source: Cedefop). ამდენად, კანონპროექტმა უნდა გაითვალისწინოს ფორმალური პროფესიული განათლების ფარგლებში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომელთა ფარგლებში მიღებული ცოდნის დადასტურებაც ყოველთვის არ იქნება დაკავშირებული სრული პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებასთან. როგორც უკვე აღინიშნა, კანონმა უნდა ცნოს ცალკეული კურსების/მოდულების შეთავაზების შესაძლებლობა (რომელიც დასრულდება შესაბამისი პროფესიული სერტიფიკატის გაცემით).

არაფორმალური განათლება, მიუთითებს გარკვეულად დაგეგმილ/ორგანიზებულ საგანმანათლებლო აქტივობას, რომელიც ხორციელდება ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ. ის მოიცავს ზრდასრულთა განათლებას, სამუშაო ადგილზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს, ონლაინ და დისტანციურ სწავლებას ან სათემო დონეზე ორგანიზებულ კურსებს, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიც. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებობს ინფორმალური (informal) განათლების ცნებაც, რომელიც წარმოადგენს არაორგანიზებულ და არასტრუქტურირებულ განათლებას, ცოდნისა და უნარების შეძენას მიზანმიმართულად ან პიროვნებისაგან გაუცნობიერებლად, ცხოვრების მანძილზე ან მუშაობის პროცესში ან თვით-სწავლების პროცესში. ბევრ ენაში, მათ შორის ქართულშიც, ხშირად, ამ ტერმინებს შორის განსხვავება ბუნდოვანია. მოქმედი კანონმდებლობა არაფორმალურ და ინფორმალურ პროფესიულ განათლებას აერთიანებს არაფორმალური პროფესიული განათლების ტერმინში და განმარტავს, რომ არაფორმალურია პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად. მოცემულ ეტაპზე მიზანშეწონილია, რომ შენარჩუნდეს აღნიშნული მიდგომა. ამავე დროს, უნდა განისაზღვროს ქმედითი ნაბიჯები არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების ასამოქმედებლად. არაფორმალური და ინფორმალური განათლების აღიარების საერთო პრინციპები, რომელიც ევროკავშირმა 2004 წლის მაისში დაამტკიცა და არაფორმალური განათლების ევროპული სახელმძღვანელო, აღიარებას შემდეგნაირად განმარტავს: კომპეტენტური ორგანოს მიერ იმის დამტკიცება, რომ პირის მიერ ფორმალურ, არაფორალურ თუ ინფორმალურ გარემოში შეძენილი სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარები და კომპეტენციები) შეფასდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და ისინი აკმაყოფილებს აღიარების/ვალიდაციის სტანდარტებს. აღიარება, ჩვეულებრივ, დასტურდება სერტიფიკატით. მნიშვნელოვანია, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება განხორციელდეს, როგორც სრული კვალიფიკაციის, ასევე მისი ნაწილის, ცალკეული კომპეტენციების დადასტურებისა და სერტიფიცირების მიზნით.

მოქმედი კანონისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს თანახმად, საქართველოში არსებობს პროფესიული განათლების ხუთი საფეხურის კვალიფიკაცია. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული დიპლომი. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება. კონკრეტული პროფესიული განათლების საფეხურები განისაზღვრება პროფესიული სტანდარტით, რომელიც მოიცავს პროფესიული განათლების საფეხურებიდან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ყველას. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. ჩარჩო წარმოადგენს განათლების სისტემის სამი ძირითადი ქვესისტემის (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) კვალიფიკაციათა ჩარჩოების ნაერთს. პროფესიული განათლების საფეხურებთან არის დაკავშირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპები - პროფესიული კოლეჯი და საზოგადოებრივი კოლეჯი. პროფესიული კოლეჯი ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს; ხოლო საზოგადოებრივი კოლეჯი ახორციელებს ყველა საფეხურის (ხუთივე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს. პროფესიული კვალიფიკაციების საფეხურებად ,,ჩაშლის“ მიდგომა დამაბნეველი აღმოჩნდა, როგორც პროფესიული განათლების მსურველებისათვის, ასევე დამსაქმებლებისათვის. დაიწყო მუშაობა სისტემის გამარტივებაზე. ამასთან, „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით (შემდგომში - ასოცირების შეთანხმება) გათვალისწინებულ იქნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

განათლების ევროპული კონტექსტი პირველყოვლისა გულისხმობს იმ საერთო ევროპულ მიდგომებს, რომელთა ჩამოყალიბებითაც ევროპის სივრცეში მყოფმა ქვეყნებმა შექმნეს ურთიერთთავსებადი განათლების სისტემები. ამის უმთავრესი ინსტრუმენტია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც ფორმალურად ძალაში შევიდა 2008 წელს, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ. ჩარჩოს მთავარი მიზანია:

- ხელი შეუწყოს მობილობას ქვეყნებს შორის;
- ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას.

ჩარჩო შემუშავდა, როგორც ,,მთარგნელობითი ინსტრუმენტი“. ამ ფუნქციის შესასრულებლად შემუშავდა EQF-LLL-თან მიმართებაში ეროვნული ჩარჩოს “რეფერენსირების” წესი და პროცედურა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების კვალიფიკაციების ჩარჩოები 2010 წლიდან “რეფერენსირებულია” ევროპული ჩარჩოს დონეებთან მიმართებაში, რაც ნიშნავს რომ ეროვნული კვალიფიკაციები განთავსებულია EQF-LLL-ის შესაბამის დონეებზე. ეს მექანიზმი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კვალიფიკაციების ურთიერთშედარების, მათი დონისა და სწავლის შედეგების გაგების საშუალებას იძლევა.

მიხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს განსხვავებული განათლების სისტემები აქვთ, ,,რეფერენსირების” მეშვეობით მარტივად დგინდება მათი მიმართება კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოსთან. ამდენად, ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო (EQF) უზრუნველყოფს, რომ კვალიფიკაციები გახდეს ადვილად აღსაქმელი და გასაგები ევროპულ სივრცეში სხვადასხვა ქვეყნებისა და სისტემებისათვის. ასევე იძლევა ერთი ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების შედარების საშუალებას მეორე ქვეყნის ეროვნულ კვალიფიკაციებთან. ჩარჩოს ბირთვს წარმოადგენს 8 საკვალიფიკაციო დონე, რომელიც აღწერილია სწავლის შედეგების (ცოდნა, უნარი, კომპეტენცია) მეშვეობით. კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითადი სტრუქტურული ერთეული - ,,დონე” არ არის მიბმული განათლების ფორმალურ სისტემაზე. ,,დონე” სისტემისგან დამოუკიდებლად აღწერს სწავლის შედეგებს. EQF-LLL-ის დოკუმენტის თანახმად კვალიფიკაციის თითოეული დონე შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვადასხვა საგანმანათლებლო და კარიერული გზით.

2014 წელს გაანალიზდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო[1] ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებით (ასევე სხვადასხვა ქვეყნების ჩარჩოებთან მიმართებით), იდენტიფიცირდა ხარვეზები და წინააღმდეგობები, დაიგეგმა ჩარჩოს შემდგომი განვითარების პროცესი, 1 წლიანი მუშაობის საფუძველზე შეიქმნა ჩარჩოს ახალი პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. ახალი ჩარჩოს მიღება ძირითადად უკავშირდება პროფესიული განათლების რეფორმირებას, რადგან სწორედ პროფესიული განათლებაა განათლების ის ქვესისტემა, რომელიც ყველაზე დიდ როლს თამაშობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპის განხორციელებაში.

კანონპროექტი ითვალისწინებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მინიმუმ 3 ძირითად სტრუქტურულ ელემენტს: დონე, სწავლის შედეგი, კვალიფიკაცია. როგორც აღნიშნული ტერმინების განმარტება, ასევე სფეროსთან დაკავშირებული სხვა ტერმინების განმარტებები მოდის ევროპის დონეზე აღიარებულ ტერმინებთან (CEDEFOP, EQF-LLL).

დღეს მოქმედ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში გაერთიანებულია განათლების სფეროების (მიმართულება, დარგი, ქვედარგი) ჩამონათვალი, რამაც არასწორი აქცენტები დასვა და დღეს კვალიფიკაციად მოიაზრება ამ სფეროების ჩამონათვალი და არა საგანმანათლებლო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგები. განათლების სფეროების ჩამონათვალი და მასში მითითებული არცერთი სფერო არ არის კვალიფიკაცია, ის არის დამხმარე ინსტრუმენტი კვალიფიკაციის დასახელების სწორად ჩამოსაყალიბებლად.[2] განათლების სფეროების ჩამონათვალი უნდა ჩამოყალიბდეს ISCED-თან შესაბამისობით და კანონმა უნდა გაითვალისწინოს მისი დამოუკიდებელ დოკუმენტად არსებობა.

ასოცირების შეთანხმების პირობების შესრულების მიზნით, ისევე როგორც ევროპულ შრომის ბაზარზე ქართული პროფესიული განათლების კვალიფიკაციების აღიარების ხელშეწყობისა და პროფესიული კვალიფიკაციების გამჭვირვალობის მიზნით, კანონმა უნდა გაითვალისწინოს პროფესიულ განათლებაში სერტიფიკატისა და დიპლომის დანართები (ევროპასის შესაბამისად).

დღეს არსებული ჩარჩოს ყველაზე დიდი ხარვეზი სისტემის ,,ჩიხებია“ და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობის მოყვანით შეიქმნება განათლების დონეებს შორის კავშირები, დონიდან დონეზე გადასვლის მოქნილი მექანიზმები. კანონმა უნდა შექმნას საფუძველი კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის ასამოქმედებლად, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სფეროს მოქნილობასა და მიმზიდველობას.

კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს შესაბამისად საქართველოში იარსებებს განათლების შემდეგი დონეები და კვალიფიკაციები:

დონე	ტიპური კვალიფიკაცია
1	საკვანძო უნარების სერტიფიკატი ქართული ენის სერტიფიკატი
2	საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი ქართული ენის სერტიფიკატი საკვანძო უნარების სერტიფიკატი პროფესიული მომზადების/გადამზადების სერთიფიკატი
3	საბაზო პროფესიული განათლების დიპლომი

[1] **კვალიფიკაციების ჩარჩოები** (საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოების შედარებითი ანალიზი), 2014.

[2] **კვალიფიკაციების ჩარჩოები** (საერთაშორისო და ეროვნული ჩარჩოების შედარებითი ანალიზი), 2014.

	პროფესიული მომზადების/გადამზადების სერთიფიკატი საკვანძო უნარების სერტიფიკატი (მაგ. ქართული ენის სერტიფიკატი)
4	სრული ზოგადი განათლების ატესტატი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი საკვანძო უნარების სერტიფიკატი (მაგ. ქართული ენის სერტიფიკატი)
5	უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი/ასოცირებული ხარისხი
6	ბაკალავრი ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრი/ მეცნიერების ბაკალავრი სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ხელოვნების ბაკალავრი ბიზნეს ადმინისტირების ბაკალავრი ინჟინერიის ბაკალავრი მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი
7	მაგისტრი ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მაგისტრი/მეცნიერების მაგისტრი სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ხელოვნების მაგისტრი ბიზნეს ადმინისტირების მაგისტრი ინჟინერიის მაგისტრი დიპლომირებული მედიკოსი (ინტეგრირებული) დიპლომირებული სტომატოლოგი (ინტეგრირებული) განათლების მაგისტრი (ინტეგრირებული) განათლების მაგისტრი (60)
8	დოქტორი

წარმოდგენილი ხედვის თანახმად პროფესიული კვალიფიკაციები განთავსდება კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე, მეოთხე და მეხუთე დონეებზე, ხოლო მომზადება-გადამზადების პროგრამები (სასერტიფიკატო კურსები) მეორედან მეხუთე დონის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ახალი მიდგომით, უმაღლესი პროფესიული განათლება წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის მოკლე ციკლს და უთანაბრდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეხუთე დონეს.

შესაბამისი დონის საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ გაიცემა პროფესიული დიპლომი (სრული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში), ან პროფესიული სერტიფიკატი (ცალკეული კურსის/მოდულის ათვისების შემთხვევაში), უმაღლესი პროფესიული განათლების მიღების საფუძველზე პირს მიენიჭება ასოცირებული ხარისხი. ამ მიდგომის პირობებში არარელევანტური ხდება ლიბერალური განათლების პროგრამების განხორციელება, რომელთა არსებობა მხოლოდ კანონის ჩანაწერით შემოიფარგლა და პრაქტიკაში ვერ განხორციელდა.

კანონპროექტის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება მიეცემათ განახორციელონ ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები გამიზნულად იმ პირებისათვის, რომლებმაც სკოლა საბაზო (9 კლასი) საფეხურის დასრულების შემდეგ დატოვეს და სურვილი აქვთ, პროფესიული განათლების მიღების პარალელურად დაეუფლონ ზოგად განათლებას (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური). ამ შესაძლებლობის შექმნა მნიშვნელოვან რეფორმას მოითხოვს არამხოლოდ პროფესიულ, არამედ ზოგადი განათლების სფეროშიც, რაც გარდაუვალი აუცილებლობაა განათლების სისტემაში არსებული ბარიერების აღმოსაფხვრელად.

თანამედროვე ევროპული მიდგომა კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად, რაც ტრადიციული მიდგომისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება განსაზღვრავს კურსდამთავრებულისთვის საჭირო ცოდნის და უნარების ერთობლიობას და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს არსებობის აუცილებლობას, რაც შედეგობრივად უზრუნველყოფს დასაქმების ბაზრისთვის საჭირო პროფესიული სტანდარტების დაკმაყოფილებას. კომპეტენციებზე დაფუძნებულ პროფესიული განათლების სისტემაში სტანდარტი ფიქსირებულია, ხოლო სტანდარტის მისაღწევად განსაზღვრული დროის მონაკვეთი - ცვლადი. სტანდარტის დაკმაყოფილება ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა, თუმცა კვალიფიკაციის მისაღებად განსაზღვრული დროის მონაკვეთი თითოეულ სტუდენტთან მიმართებაში განსხვავებულია. კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული განათლება, სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების და გამოცდილების გათვალისწინებით, მას შესაძლებლობას აძლევს საჭირო ვადებში ცოდნას და უნარებს დაეუფლოს. მოცემული სისტემის ფარგლებში ეფექტური სასწავლო გარემო შეიქმნება ყველა ტიპის სტუდენტის მიერ კომპეტენციის მისაღწევად, განურჩველად იმისა, თუ რა ვადაში ეუფლება იგი საჭირო ცოდნას და უნარებს. რა თქმა უნდა, სისტემის წარმატება ეფექტურ მართვაზე და შესაბამისი სასწავლო რესურსების არსებობაზეა დამოკიდებული.

კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები. რეალურად კი, პროფესიულ განათლებაში (ევროპულ სისტემებში) სტანდარტი განსაზღვრავს პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ინდივიდუალურ კომპეტენციას - შრომითი აქტივობის წარმატებულ შედეგს. კერძოდ, თუ რისი გაკეთება შეუძლია კვალიფიკაციამინიჭებულ პირს და არა მხოლოდ, თუ რა ცოდნას ფლობს. სტანდარტი მიუთითებს, რა სახის პრაქტიკულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს კურსდამთავრებული სამუშაოს კომპეტენტურად შესასრულებლად. პროფესიული სტანდარტი აღწერს: რა უნდა შესრულდეს; როგორ უნდა შესრულდეს; რა გარემოებებში უნდა შესრულდეს სამუშაო. პროფესიული სტანდარტი გამოიყენება, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველი, მაგრამ თავის თავში არ აერთიანებს, არ მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის ელემენტებს.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული ხედვა და რეკომენდაციები სწორედ ზემოაღნიშნულ მიდგომას ემყარება და მისი სისტემაში დანერგვის დაწყება მყარ სამართლებრივ საფუძველს მოითხოვს. ამდენად, კანონმა უნდა ასახოს ეს ახლებური მიდგომა პროფესიული სტანდარტისადმი - პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომელიც აღწერს პროფესიასთან დაკავშირებული ამოცანებისა და მოვალეობების ერთობლიობას/საქმიანობებს და განსაზღვრავს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე პირი. პროფესიული სტანდარტით შესაძლებელია ასევე დადგინდეს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები.

პროფესიული სტანდარტები 2010 წლიდან გაჩნდა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და მათი მომზადების (დამსაქმებლების მონაწილეობით) და დამტკიცების უფლებამოსილება მოქმედი კანონით მხოლოდ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გააჩნია. აღნიშნული მიდგომა ერთგვარ შეუსაბამობაშია ევროპულ/საერთაშორისო პრაქტიკასთან, რადგან პროფესიის სტანდარტების შექმნა-განვითარების კომპეტენცია არაერთ ქვეყანაში პროფესიული ასოციაციებს, სავაჭრო პალატებსა თუ დამსაქმებელთა გაერთიანებებს ეკუთვნით. საქართველოში შესაძლოა მოცემულ ეტაპზე არ არსებობდეს იმის მზაობა, რომ ამ ტიპის ორგანიზაციებმა აიღონ პასუხისმგებლობა პროფესიული სტანდარტების შექმნაზე, თუმცა კანონმა ხისტად არ უნდა განსაზღვროს აღნიშნული საკითხის განათლების სივრცეში მოქცევის მიდგომა, არამედ უნდა დატოვოს შესაძლებლობა იმისათვის, რომ პროფესიული სტანდარტების განვითარება ეტაპობრივად გავიდეს საგანმანათლებლო სივრცის ფარგლებიდან და დასაქმების სფეროს კომპეტენციად იქცეს.

კანონში უნდა გაჩნდეს სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამის ცნება. სტანდარტულ საგანმანათლებლო პროგრამას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით, დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს და დაამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამა საფუძვლად დაედება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც შეიმუშავებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, დასრულდება პროფესიული კვალიფიკაციის/ნაწილობრივი კვალიფიკაციის მინიჭებით/ათვისებული კომპეტენციების დადასტურებით და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის/პროფესიული სერტიფიკატის გაცემით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის/ნაწილობრივი კვალიფიკაციის/ცალკეული კომპეტენციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მოცულობა კრედიტებში, სწავლებისა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები.

2007 წელს ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან დღემდე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ამოღებულია ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტი და პირს, რომელიც საბაზო განათლების მიღების შემდეგ ჩაირიცხა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი განათლების საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად გზა ეკეტება. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატის მისაღებად ერთადერთი გზაა სკოლაში დაბრუნება (რაც პრაქტიკულად არ ხდება) ან ექსტერნის წესით გამოცდების ჩაბარება (რაც შეუძლებელია წინასწარი მომზადების გარეშე). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების ჩამორთმევამ მოკლევადიან პერსპექტივაში რეალურად იქონია ანტიკორუფციული ეფექტი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოქნა ე.წ. ,,საგანმანათლებლო ჩიხი“, რომლის დაძლევაც დღეს განათლების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა.

კანონპროექტი ითვალისწინებს პროფესიული განათლების ფარგლებში სრული ზოგადი განათლების დაუფლებას, თუმცა სურვილის შემთხვევაში, საბაზო განათლების მქონე სტუდენტები მხოლოდ პროფესიას შეისწავლიან.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (12[1] მუხლი) პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები. პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების, პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების უფლებამოსილების ნაწილში აისახება პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების წესის დამტკიცება, რომელიც დაარეგულირებს პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ტიპებს, პროფესიაში შესვლისა და შემდგომი პროფესიული განვითარების ღონისძიებებს.

კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, პროფესიული განათლების მიღების უფლების მოპოვება პროფესიულ ტესტირებაზე გადის (პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად). კანონი განსაზღვრავს, რომ პროფესიული ტესტირება არის პროცედურა, რომელიც ადგენს პირის მზადყოფნას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის. ამდენად, პროფესიული ტესტირება წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტთა ჩარიცხვის ერთადერთ მექანიზმს, თუმცა მისი თავსებადობა/რელევანტურობა ახალ მიდგომასთან, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლება არ გულისხმობს მხოლოდ კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროგრამის განხორციელებას, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. კანონმა არ უნდა განსაზღვროს კონკრეტული მექანიზმი (ტესტირება, გასაუბრება და ა.შ), რომლის საფუძველზეც პირი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება, ვინაიდან მიმდინარე რეფორმის ტენდენციებიდან გამომდინარე, პერიოდულად გაანალიზდება განხორციელებული პოლიტიკის შედეგები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული მექანიზმების დახვეწა ან/და შეცვლა, რაც თავის მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებებთან იქნება დაკავშირებული. ამდენად, კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შემუშავება და დამტკიცება. აღნიშნული წესი გაითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებს და დაეფუძნება ობიექტურობის, სამართლიანობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებს.

იგივე მიდგომით ყალიბდება კანონში პროფესიული განათლების დაფინანსების საკითხიც. კერძოდ, საქართველოს მთავრობის უფლებამოსილების ნაწილში აისახება პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგენით).

კანონპროექტი განსაზღვრავს პროფესიულ განათლებაში ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას. ამით გზა გაეხსნება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან პროფესიული პროგრამების ერთობლივად განხორციელებას და ასევე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომის რეალიზებას. ამასთან შესაძლებელი გახდება საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამების ორგანიზება.

მნიშვნელოვანია, რომ კანონით განისაზღვრება, როგორც არაფორმალური განათლების აღიარების, ასევე ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებისა და ჩათვლის შესაძლებლობა, ასევე პროფესიული კრედიტების დაგროვების, ტრანსფერისა და ჩათვლის წესის განსაზღვრის ვალდებულება.

კანონის 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცემა უფლება, მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და

უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე. მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხმარდება მხოლოდ დაწესებულების მიზნების განხორციელებას და ფუნქციების შესრულებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ უფლების რეალიზების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილების ნაწილში აისახოს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის გამოცემის უფლებამოსილება, რომელიც მოიცავს მკაფიო ინსტრუქციას სასწავლო პროცესში წარმოებული პროდუქციის რეალიზების, ასევე დაწესებულების მიერ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისა და მიღებული შემოსავლების განკარგვის შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს (წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად) მიეცემათ სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების უფლება, რომელშიც შესაბამისი დაწესებულება უნდა ფლობდეს არანაკლებ 50%-იან წილს. ამ უფლებამოსილების განხორციელება უნდა მოხდეს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან შეთანხმებით. შეთანხმების წესი და პირობები კი უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით არ დგინდება ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ არის.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.